ოქმი:**ო03. 3724354001**

თარიღი:**19/12/2024**

ოქმი № 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2024 წელი, 19 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

14.30- 15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი-კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. ბიგვავა, ბ. თოიძე, ტ. აროშიძე, ქ.ხომერიკი, გ. მდინარაძე, ნ. ღაჟონია, ნ, ქარჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას, თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს გააცნო 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, 2025 წლის ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრება 43.400. ათასი ლარით, შემდეგ თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ბიუჯეტის პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციურად კომისიის შესწავლისა და განხილვის საგანია. აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები კორექტირებულ ბიუჯეტში გაიზარდა 2 მილიონი ლარით და შეადგინა 8 მილიონი. ამის შემდეგ თანამომხსენებელმა პ.

ჭყონიამ ისაუბრა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების და ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დარგობრივი კომისიების შენიშვნებზე. კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე შენიშვნები არ დაფიქსირდა. კომისიის წევრმა გ. კილაძემ დასვა შეკითხვა სოციალურ პროგრამებში ასიგნებების გაზრდის თაობაზე, უპასუხეს, რომ წინა წელთან შედარებით ასიგნებები იზრდება 160 ათასი ლარით. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი 2025 წლის სამუშაო გეგმა, კომისიის წევრებმა მოიწონეს გეგმა და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარდგენა საკრებულოს ბიუროზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და N 1 საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2.N 2 საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე